

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

ბათუმი, მემედ აბაშიძის #41, ს/კ 245675880

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 02-03/02

ბათუმი

04 იანვარი 2016 წელი

„სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის კომისიის შექმნის შესახებ“ 2015 წლის 01 დეკემბრის #02-03/30 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის #02-03/18 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს წევრის ბეჟან გობაძის 2015 წლის 14 დეკემბრის #02-19/1237 საჩივრის განხილვის მიზნით 2015 წლის 01 დეკემბერს შექმნილ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის კომისიაში შეტანილ იქნეს ცვლილება და კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - ა) ნათია აფხაზავა - არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“;
 - ბ) მალხაზ ჭკადუა - არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“;
 - გ) ხათუნა ბაგრატიონი - დამოუკიდებელი წევრი.
2. საჩივრების განმხილველ კომისიას ეთხოვოს კანონმდებლობითა და ზემოთაღნიშნული დებულებით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს თავისი უფლებამოსილება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ზუბალაშვილის #30) მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

სოსო სტურუა

